ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 14

ქ. თბილისი, 25 დეკემბერი, 2023 წელი

სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი

სხდომას ესწრებოდა 23 ხმის უფლების მქონე წევრი

**დღის წესრიგი:**

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დამტკიცება

*/ დეკანი, პროფ. გ. ღაღანიძე/*

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილების შესახებ

***/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/***

3. თსუ კურსდამთავრებულთა აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

***/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/***

4. თსუ კურსდამთავრებულთა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

*/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/*

5. **ეკონომიკის** სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ნესტან გაფრინდაშვილის** სადისერტაციო თემის ცვლილების შესახებ

*/დეკანის მოადგილე მ. ლობჟანიძე/*

6. დოქტორანტ **ნათია ლაკიას** სადისერტაციო თემის ცვლილების შესახებ

*/დეკანის მოადგილე მ. ლობჟანიძე/*

7. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ **არჩილ ჩუბინიძის** სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

*/დეკანის მოადგილე მ. ლობჟანიძე/*

8. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში ცვლილების შესახებ

*/დეკანის მოადგილე მ. ლობჟანიძე/*

9. მიმდინარე საკითხები

**მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, **პროფესორ გიორგი ღაღანიძის** ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

**ჩატარდა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე** - 23

**წინააღმდეგი** - 0

**დაადგინეს:** დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით

**მოისმინეს:** თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დამტკიცება

*/ დეკანი, პროფ. გ. ღაღანიძე/*

პროფესორმა გ. ღაღანიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი. საბჭოს წევრებს 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი წინასწარ დაეგზავნათ გასაცნობად.

**აზრი გამოთქვეს:** პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ, პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა, ასოცირებულმა პროფესორმა ნატალია ხარაძემ

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23**

**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს**: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილების შესახებ

***/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/***

1. **ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა** (**აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 77**)

**ა) ცვლილება:** სასწავლო კურსების სილაბუსების მოდიფიცირების შესახებ.

**ცვლილების აღწერა:** განახლდა შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსები და წარმოდგენილ იქნა მოდიფიცირებული სახით, კერძოდ: მოხდა სწავლის შედეგების კორექტირება, დაზუსტდა შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩატარების ხანგრძლივობა და ფორმატი, განახლდა ლიტერატურა, შემდეგ სასწავლო კურსების სილაბუსში:

- ეკონომიკის პრინციპები (10 კრედიტი);
- მიკროეკონომიკის პრინციპები;
- მაკროეკონომიკის პრინციპები.

**საფუძველი:** სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

**ბ) ცვლილება:** საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების წინაპირობის მოხსნის შესახებ.

**ცვლილების აღწერა:** წინაპირობა მოეხსნას შემდეგ სასწავლო კურსებს:

- საერთაშორისო ეკონომიკა;

- ეკონომიკის აზრის ისტორია;
- საერთაშორისო ეკონომიკა 1;
- საერთაშორისო ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები;
- მოსახლეობა და მსოფლიო განვითარება;
- მსოფლიო ეკონომიკა.

**საფუძველი:** სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება, წინაპირობის დაზუსტება.

2. **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) საბაკალავრო პროგრამა ეკონომიკაში (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 274):**

ა) **ცვლილება:** საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება

**ცვლილების აღწერა:** პროგრამის თანახელმძღვანელის დავით კეშელავას ნაცვლად გიორგი ფირიაშვილის (დოქტორი, PhD) ჩართვა ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელის პოზიციაზე.

**საფუძველი:** დავით კეშელავას სკოლის ადმინისტრაციული პოზიციიდან გადასვლა ISET-PI კვლევითი ინსტიტუტის მაკროეკონომიკის ცენტრის ხელმძღვანელის პოზიციაზე. გიორგი ფირიაშვილი არის ISET-ის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული. მას ეკონომიკის დოქტორის ხარისხი მოპოვებული აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, University of Notre Dame-ში.

(ბ) **ცვლილება:** ახალი არჩევითი სასწავლო კურსის „ევროინტეგრაციის ეკონომიკა" პროგრამაში დამატების შესახებ, სემესტრი VI.

**ცვლილების აღწერა:** არჩევითი სასწავლო კურსების სპექტრის გამრავალფეროვნება, ევროინტეგრაციის საკითხებისადმი განსაკუთრებულად გაზრდილი ინტერესი ახალგაზრდების მხრიდან. ევროინტეგრაციის ეკონომიკური ასპექტების მიმოხილვისადმი ინტერესი და სიღრმისეულად შესწავლის პერსპექტივა.

**საფუძველი:** არჩევითი სასწავლო კურსების სპექტრის გამრავალფეროვნება: აღნიშნული თემის ირგვლივ განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ქვეყანაში. თემის აქტუალობამ წარმოქმნა მეტი ინფორმაციის მიღების საჭიროება ევროინტეგრაციის ეკონომიკურ გავლენაზე ევროკავშირის ახლანდელ და მომავალ წევრ ქვეყნებზე.

(გ) **ცვლილება:** ახალი არჩევითი სასწავლო კურსის „ვარიაციული აღრიცხვა და ოპტიმალური კონტროლის თეორია“ პროგრამაში დამატების შესახებ, სემესტრი VIII.

**ცვლილების აღწერა:** არჩევითი სასწავლო კურსების სპექტრის გამრავალფეროვნებასთან ერთად მათემატიკურ მეთოდებზე დაფუძნებული თანამედროვე თეორიების, კერძოდ კი დინამიკური ოპტიმიზაციის მეთოდების შესწავლა სტუდენტებს საშუალებას მისცემთ ეკონომიკური თეორიისა და მოდელირების სიღრმისეულად დაეუფლონ.

**საფუძველი:** კურსისადმი სტუდენტების განსაკუთრებული ინტერესი: სტუდენტთა ნაწილს სულს სამეცნიერო აკადემიური მიმართულებით სწავლის გაგრძელება და დოქტორანტურაში სწავლა. მოცემული სასწავლო კურსი შესაძლებლობას მისცემს სტუდენტების დაინტერესებულ ჯგუფს გაიღრმაოს ცოდნა ეკონომიკური ამოცანების მათემატიკური ამოხსნის გზების შესახებ.

(დ) **ცვლილება:** ახალი არჩევითი სასწავლო კურსის „გენდერული ეკონომიკის“ პროგრამაში დამატების შესახებ, სემესტრი VI.

**ცვლილების აღწერა:** არჩევითი სასწავლო კურსების სპექტრის გამრავალფეროვნებასთან ერთად დაინტერესება სტუდენტების მხრიდან, ასევე, საბაკალავრო ნაშრომის ხარისხის გაუმჯობესება.

**საფუძველი:** წინა სასწავლო წლის საბაკალავრო ნაშრომების გარკვეული ნაწილის კვლევით თემას წარმოადგენდა გენდერი. საკითხისადმი მოჭარბებულმა ინტერესმა განაპირობა გადაწყვეტილება, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების შესაძლებლობა მიეცეთ ამ თემით დაინტერესებული სტუდენტებისთვის.

(ე) **ცვლილება:** ახალი არჩევითი სასწავლო კურსის „ეკონომიკური ზრდა“ პროგრამაში დამატების შესახებ, სემესტრი VI.

**ცვლილების აღწერა:** სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ ეკონომიკური ზრდის, სიღარიბისა და უთანასწორობის შესახებ კვლევებს, ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების კონტექსტში.

**საფუძველი:** კურიკულუმის გამრავალფეროვნება და სტუდენტებისთვის არჩევითი საგნების სპექტრის გაზრდა.

3. **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში (ინგლისურენოვანი**

პროგრამა) (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 82)

**(ა) ცვლილება:** ახალი არჩევითი სასწავლო კურსის „კორელაციიდან მიზეზ-შედეგობრივ კავშირამდე ნობელის 2021 წლის პრემიის გააზრება" პროგრამაში დამატების შესახებ.

**ცვლილების აღწერა:** ემპირიული კვლევის მეთოდებისა და ემპირიული დასკვნების შესწავლა. ახალი კურსი განხორციელდება პარტნიორ CERGE-EI უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს ელექტრონულ/შერეულ ჰიბრიდული კურსის წარმართვას პარალელურად რამდენიმე პარტნიორ უნივერსიტეტებში (სხვადასხვა ქვეყანაში). კურსს წაიკითხავს, CERGE-EI-ის ლექტორი კრისტიან ოჩნერი, Ph.D (Dresden University of Technology, German), ასევე პირისპირ - ნიკოლოზ ფხაკაძე, ხოლო პირისპირ სემინარებს კი ლექტორის ასისტენტი: ვალიდა ფანცულაია

**საფუძველი:** კურიკულუმის გამრავალფეროვნება არჩევითი კურსებით.

(ბ) **ცვლილება:** ახალი არჩევითი სასწავლო კურსის „კორპორაციული გადასახადების და მდგრადობა" პროგრამაში დამატების შესახებ.

**ცვლილებების აღწერა:** ახალი კურსი განხორციელდება პარტნიორ სტოკჰოლმის ეკონომიკის სკოლასთან (Stockholm School of Economics) ერთად გამარჯვებული საგრანტო პროექტის ფარგლებში საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს ახალი კურსების დანერგვას ეკონომიკის პროგრამებზე სხვადასხვა ქვეყანაში. კურსს წაიკითხავს, მოწვეული ლექტორი ლოტა ლარსენი (Ph.D) და ასისტენტ-პროფესორი თეიმურაზ გოგსაძე.

**საფუძველი:** კურიკულუმის გამრავალფეროვნება არჩევითი კურსებით; სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარის შეფასების ანალიზით გამოკვეთილი ინტერესი აღნიშნული თემისადმი.

**აზრი გამოთქვეს:** პროფესორმა გ. ღაღანიძემ, პროფესორმა ე. ხარაიშვილმა, პროფესორმა ე. მექვაბიშვილმა

**ჩატარდა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე** - 23

წინააღმდეგი - 0

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამებში - 1. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 77), 2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) საბაკალავრო პროგრამა ეკონომიკაში (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 274): 3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში (ინგლისურენოვანი პროგრამა) (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 82) - წარმოდგენილი ცვლილებები.

**4. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილება, დანართი 78)**

*ა) ცვლილება:* სასწავლო კურსების სილაბუსების მოდიფიცირების შესახებ.

*ცვლილების აღწერა:* განახლდა შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსები და წარმოდგენილ იქნა მოდიფიცირებული სახით, კერძოდ: მოხდა სწავლის შედეგების კორექტირება, შეიცვალა შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, დაზუსტდა შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩატარების ხანგრძლივობა და ფორმატი, განახლდა ლიტერატურა, მოხდა ზოგიერთი თემატიკის გაერთიანება და ცვლილება, შეიცვალა ბიზნეს გეგმის პრეზენტაცია - პროექტის პრეზენტაციით, დაზუსტდა ძირითადი სახელმძღვანელოს გამოშვების წელი შემდეგ სასწავლო კურსების სილაბუსში:

- მენეჯმენტის საფუძვლები;
- ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები;
- კორპორაციათა ფინანსები;
- ფასიანი ქაღალდების ბაზარი;
- სადაზღვევო საქმე;
- მიკროეკონომიკის პრინციპები;

- მაკროეკონომიკის პრინციპები;
- ფინანსური აღრიცხვა(10 კრ);
- მმართველობითი აღრიცხვა I;
- ეკონომიკური ანალიზი;
- აუდიტის საფუძვლები;
- კარიერის მართვა;
- კულტურის სფეროს მენეჯმენტი გლობალიზაციის პირობებში;
- სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები;
- მიწოდების ჯაჭვის მართვა გლობალურ გარემოში;
- კროს-კულტურული მენეჯმენტი;
- ორგანიზაციული ქცევა;
- ადამიანური რესურსების მართვა;
- ოპერაციათა მენეჯმენტი;
- ლიდერობა მართვის ხელოვნება;
- ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1;
- ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 2;
- საერთაშორისო ბიზნესი;
- საერთაშორისო ბიზნესის მართვა;
- კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში;
- ორგანიზაციის თეორია;
- საქმიანი თამაშები;
- ევროკავშირის ბიზნეს გარემო;
- საერთაშორისო ბიზნესის უსაფრთხოება;
- საერთაშორისო ბიზნესის რეგულირება;
- ბიზნესის სამართალი.

**საფუძველი:** სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

**ზ) ცვლილება:** საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების წინაპირობის ცვლილების შესახებ.

**ცვლილების აღწერა:** სასწავლო კურსში ,,მმართველობითი აღრიცხვა" წინაპირობად ჩაისვა ,,შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში."

**საფუძველი:** სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება, წინაპირობის დაზუსტება.

**გ) ცვლილება:** საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში ავტორის/წამკითხველი ლექტორების ცვლილების შესახებ.

**ცვლილების აღწერა:** სასწავლო კურსის სილაბუსებში ავტორების და წამკითხველი ლექტორების ცვლილება მოხდა შემდეგ სასწავლო კურსის სილაბუსებში:

- ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები;
- ფასიანი ქაღალდების ბაზარი;
- სადაზღვევო საქმე;
- ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1;
- ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 2;
- საერთაშორისო ბიზნესი;
- კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში;
- ბიზნესის სამართალი.

**საფუძველი:** სასწავლო კურსების სილაბუსების განახლების საფუძველზე სილაბუსების ავტორების/წამკითხველი ლექტორების დაზუსტება.

**დ) ცვლილება:** საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების ცვლილების შესახებ.

**ცვლილების აღწერა:**

1. ,,მენეჯმენტის" მოდულიდან ამოღებულ იქნა შემდეგი სასწავლო კურსები:
   - ორგანიზაციული ქცევა (არჩ);
   - მმართველობითი კონსალტინგი (არჩ);
   - კროს-კულტურული მენეჯმენტი (არჩ);
2. აღნიშნულ მოდულს დაემატა:
   - სავალდებულო კურსი ,,ორგანიზაციული ქცევის მართვა".

3. ბიზნესის ადმინისტრირების **დამატებით პროგრამაში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის დაემატა შემდეგი არჩევითი სასწავლო კურსები:**
   - საერთაშორისო ბიზნესი (იყო სავალდებულო სასწავლო კურსი და გახდა არჩევითი);
   - საერთაშორისო ბიზნესის მართვა;
   - კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში.

4. ბიზნესის ადმინისტრირების **დამატებით პროგრამაში სხვა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის დაემატა შემდეგი არჩევითი სასწავლო კურსები:**
   - საერთაშორისო ბიზნესის მართვა;

- კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში;
- ევროკავშირის ბიზნესის გარემო.

**საფუძველი:** საგანმანათლებლო პროგრამაში დარგობრივი კომპეტენციის გაღრმავება.

**ე) ცვლილება:** საგანმანათლებლო პროგრამის მოდულში თანახელმძღვანელის დამატება.

**ცვლილების აღწერა:** საგანმანათლებლო პროგრამის მოდულს ,,მენეჯმენტი" დაემატა თანახელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ე. ჩოხელი.

**საფუძველი:** პროგრამის ადმინისტრირების გაძლიერება.

**ვ) ცვლილება:** საგანმანათლებლო პროგრამაში ახალი მოდულების დამატების შესახებ.

**ცვლილების აღწერა:** საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა შემდეგი მოდულები:

- საჯარო მმართველობა;
- ადამიანური რესურსების მართვა.

**საფუძველი:** სტუდენტთათვის მოდულების არჩევანის გაზრდა.

**5. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა** (**აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილება, დანართი 81**)

**ა) ცვლილების აღწერა:** განახლდა შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსები და წარმოდგენილ იქნა მოდიფიცირებული სახით, კერძოდ: შეიცვალა ავტორთა/ლექტორთა ჩამონათვალი, შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, დაზუსტდა შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩატარების ხანგრძლივობა და ფორმატი, განახლდა ლიტერატურა, დასწრების ქულა დაემატა აქტივობის კომპონენტს შემდეგ სასწავლო კურსების სილაბუსში:

- ფინანსური მენეჯმენტი;
- სადაზღვევო სისტემა და რეგულირება;
- ფინანსური სისტემა და რეგულირება;
- ფინანსური აღრიცხვა 2;
- ფინანსური ანალიზი;
- გადასახადების აღრიცხვა და ანგარიშგებლობა;
- კვლევის მეთოდები ბიზნესში;
- ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა;

- ლიდერობა და ემოციური ინტელექტი;
- ლიდერობა;
- მენეჯმენტი გლობალურ გარემოში;
- ორგანიზაციული ცვლილებების მენეჯმენტი;
- შრომის ბაზრის რეგულირება გლობალიზაციის პირობებში;
- შრომისა და დასაქმების სამართალი;
- ტალანტების მართვა ორგანიზაციაში;
- ბიზნეს-პროცესების მენეჯმენტი;
- შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია;
- კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვა;
- ორგანიზაციული ქცევა გლობალურ გარემოში;
- კონკურენტული სტრატეგიები;
- ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა;
- პროექტების მართვა გლობალურ გარემოში;
- საერთაშორისო ვაჭრობის მენეჯმენტი;
- სტრატეგიული მენეჯმენტი ციფრულ ეკონომიკაში;
- ლიდერობა და ემოციური ინტელექტი;
- გლობალური ბიზნესი;
- საერთაშორისო ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა;
- საერთაშორისო ბიზნესის დიპლომატია;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- საერთაშორისო ვაჭრობა;
- საერთაშორისო ბიზნეს კომუნიკაციები;
- ელექტრონული ბიზნესი;
- ინოვაციური ბიზნესი;
- საერთაშორისო ფინანსები;
- საერთაშორისო ბიზნესის სტრატეგია;
- საერთაშორისო ლოგისტიკა.

**საფუძველი:** სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

**ზ) ცვლილება:** საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში ავტორის/წამკითველი ლექტორების ცვლილების შესახებ.

**ცვლილების აღწერა:** სასწავლო კურსის სილაბუსებში ავტორების და წამკითხველი ლექტორების ცვლილება მოხდა შემდეგ სასწავლო კურსის სილაბუსებში:

- სადაზღვევო სისტემა და რეგულირება
- მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები

**საფუძველი:** სასწავლო კურსების სილაბუსების განახლების საფუძველზე სილაბუსების ავტორების/წამკითხველი ლექტორების დაზუსტება.

**გ) ცვლილება:** საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების ცვლილების შესახებ.

**ცვლილების აღწერა:**

1. ,,მენეჯმენტის" კონცენტრაციიდან ამოღებულ იქნა შემდეგი სასწავლო კურსები:
   - კონკურენტული სტრატეგიები (არჩ);
   - საერთაშორისო ვაჭრობის მართვა (არჩ);
   - მენეჯმენტი გლობალურ გარემოში (არჩ).
2. მენეჯმენტის კონცენტრაციას დაემატა არჩევითი სასწავლო კურსი ,,მონაცემთა ანალიზი და მოდელირება მენეჯმენტში".
3. მენეჯმენტის კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსი ,,ტექნოლოგიური და ოპერაციული მენეჯმენტი" ჩანაცვლდა ,,ტექნოლოგიური და ინოვაციური მენეჯმენტით".
4. კონცენტრაცია ,,საერთაშორისო ბიზნესი" დაემატა არჩევითი სასწავლო კურსი ,,ბიზნესის სამართლებრივ-ეკონომიკური რეგულირება" (მე3 სემესტრი).

**საფუძველი:** საგანმანათლებლო პროგრამაში დარგობრივი კომპეტენციის გაღრმავება.

**დ) ცვლილება:** საგანმანათლებლო პროგრამის კონცენტრაციაში თანახელმძღვანელის დამატება.

**ცვლილების აღწერა:** საგანმანათლებლო პროგრამის კონცენტრაციას ,,მენეჯმენტი" დაემატა თანახელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ე. ჩოხელი.

**საფუძველი:** პროგრამის ადმინისტრირების გაძლიერება.

**ე) ცვლილება:** სასწავლო კურსების სტატუსის ცვლილების შესახებ.

**ცვლილების აღწერა:**

1. ,,ადამიანური რესურსების მენეჯმენტის" კონცენტრაციაში სტატუსი შეეცვალათ შემდეგ სასწავლო კურსებს:
   - ,,ბიზნესის პროცესების მენეჯმენტი" გახდა არჩევითი;
   - ,,ლიდერობა" - სავალდებულო.

2. ,,საერთაშორისო ბიზნესის“ კონცენტრაციაში სტატუსი შეეცვალათ შემდეგ სასწავლო კურსებს:

- ,,საერთაშორისო ბიზნესის ფინანსები“ გახდა სავალდებულო (მე-3 სემესტრი);
- ,,საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკა“ -არჩევითი (მე-2 სემესტრი).

**საფუძველი:** ზემოაღნიშნული ორი სასწავლო კურსის სტატუსის მოდიფიცირება.

**ვ) ცვლილება:** ახალი კონცენტრაციის დამატების შესახებ.

**ცვლილების აღწერა:** სამაგისტრო პროგრამის არსებულ კონცენტრაციებს დაემატა ახალი კონცენტრაცია ,,საჯარო მმართველობა“.

**საფუძველი:** მაგისტრანტთათვის სამაგისტრო პროგრამის კონცენტრაციების არჩევანის გაფართოება.

**აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს**

**ჩატარდა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე** - 23

**წინააღმდეგი** - 0

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამებში - 1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილება, დანართი 78), 2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილება, დანართი 81) - წარმოდგენილი ცვლილებები.

4. **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ტურიზმი (აკადემიური საბჭოს 29 ივნისის** 2011 **წლის დადგენილება** №57, **დანართი** 79)

*1.* **ცვლილება:** სასწავლო კურსების სილაბუსების მოდიფიცირების შესახებ.

**ცვლილების აღწერა:** განახლდა შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსები და წარმოდგენილ იქნა მოდიფიცირებული სახით, კერძოდ: მოხდა სწავლის შედეგების კორექტირება, შეიცვალა შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, დაზუსტდა შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩატარების ხანგრძლივობა და ფორმატი, განახლდა ლიტერატურა შემდეგ სასწავლო კურსების სილაბუსში:

- ეკონომიკის პრინციპები;
- ტურიზმის სამართალი;
- შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში;

**საფუძველი:** სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

**აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს**

**ჩატარდა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე** - 23

**წინააღმდეგი** - 0

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ტურიზმი“ (აკადემიური საბჭოს 29 ივნისის 2011 წლის დადგენილება №57, დანართი** 79) - წარმოდგენილი ცვლილებები.

2. **ცვლილება:** სასწავლო კურსების სილაბუსების მოდიფიცირების შესახებ.

**ცვლილების აღწერა:** განახლდა შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსები და წარმოდგენილ იქნა მოდიფიცირებული სახით, კერძოდ: მოხდა სწავლის შედეგების კორექტირება, შეიცვალა შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, დაზუსტდა შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩატარების ხანგრძლივობა და ფორმატი, განახლდა ლიტერატურა შემდეგ სასწავლო კურსების სილაბუსში:

- ეკონომიკის პრინციპები;
- ტურიზმის სამართალი;
- შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში;

**საფუძველი:** სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

**აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს**

**ჩატარდა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე** - 23

**წინააღმდეგი** - 0

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ტურიზმი“ (აკადემიური საბჭოს 29 ივნისის 2011 წლის დადგენილება №57, დანართი 79)** - წარმოდგენილი ცვლილებები.

მოისმინეს: **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის მ. ჩავლეიშვილის** ინფორმაცია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში 2023-2024 სასწავლო წლამდე ჩარიცხული სტუდენტებისთვის გაზაფხულის სემესტრში შემდეგი არჩევითი სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობის მიცემის შესახებ (აკადემიური რეგისტრაციის დროს სასწავლო ბაზაში სასწავლო კურსების გახსნის შესახებ):

- აგროტურიზმი;
- ტურის გამყოლის(გიდის) მომსახურება.

**საფუძველი:** დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებისთვის ცოდნის გაფართოება.

**აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს**

**ჩატარდა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23**

**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:** თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში 2023-2024 სასწავლო წლამდე ჩარიცხულ სტუდენტებს **გაზაფხულის სემესტრში** მიეცეთ შესაძლებლობა, აირჩიონ შემდეგი არჩევითი სასწავლო კურსები (**გაიხსნას სასწავლო ბაზაში** შემდეგი სასწავლო კურსები):

- აგროტურიზმი;
- ტურის გამყოლის (გიდის) მომსახურება.

**მოისმინეს**: თსუ კურსდამთავრებულთა აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

***/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/***

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილებით (№36898/10, 5.12.2023 და №36896/10, 5.12.2023) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის 2002 წლის კურსდამთავრებულ ლია ზედგინიძისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება და მისთვის დიპლომის დანართის მომზადება ცნობის სახით საათებისა და კრედიტების რაოდენობის მითითებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **ლია ზალიკოს ასული ზედგენიძე** 1998 წლის მისაღები გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხა მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/570, 5.08.1998).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 17 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №2) გადაწყვეტილებით მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულ **ლია ზედგინიძეს** მიენიჭა *ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სახელმწიფო სამსახურის ადმინისტრატორის კვალიფიკაციით* და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2002 წლის 10 ივლისის №4/821 ბრძანებით მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების სახელმწიფო და მუნიციპალური სპეციალობის კურსდამთავრებულ **ლია ზედგენიძეს** მიენიჭა *ადმინისტრაციულ მენეჯერის კვალიფიკაცია და ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი* და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2002 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№08096 (სარეგისტრაციო №01/203) რეგისტრირებულის ლია ზედგენიძის სახელზე.

*შენიშვნა: საქმისწარმოებისას გაირკვა სტუდენტის გვარში სხვადასხვა ეტაპზე დაშვებული შეცდომა. კერძოდ:*

- *საშუალო განათლების ატესტატი ქალაქ რუსთავის №5 საშუალო სკოლის მიერ გაცემულია ლია ზალიკოს ასული ზედგინიძის სახელზე;*

- *1998 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა ლია ზალიკოს ასული ზედგენიძე;*
- *მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მიერ სტუდენტის სასწავლო ბარათი წარმოებულია ლია ზალიკოს ასული ზედგინიძის სახელზე;*
- *მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №2, 17.06.2002) გადაწყვეტილებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა ლია ზედგინიძეს;*
- *ბაკალავრის დიპლომის დანართი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მიერ მომზადებულია ლია ზედგინიძის სახელზე;*
- *ბაკალავრის დიპლომი (BN№08096, სარეგისტრაციო №01/203) გაცემულია ლია ზედგენიძის სახელზე.*

ლია ზედგენიძის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომიდან (BN№08096, სარეგისტრაციო №01/203) ირკვევა შემდეგი: **„ლია ზედგენიძე 1998 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე და 2002 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით სახელმწიფო და მუნიციპალური მართა. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით ლია ზედგენიძეს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სახელმწიფო სამსახურის ადმინისტრატორის კვალიფიკაცია“.**

გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმით (№2, 17.06.2002) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/821, 10.07.2002) მინიჭებულ ხარისხთან. თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა კურსდამთავრებულისათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შესწორდეს ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილება (ოქმი №2, 17.06.2002) და კურსდამთავრებულებს ნაცვლად

**„ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა სახელმწიფო სამსახურის ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“** მიენიჭოთ **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სახელმწიფო სამსახურის ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“.**

ფაკულტეტის საბჭოს სთხოვენ შესწორდეს ლია ზედგინიძისთვის (ზედგენიძე) მინიჭებული კვალიფიკაციის/ხარისხის დაზუსტების (კორექტირების) საკითხი და განხორციელებული ცვლილება გავრცელდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№2, 17.06.2002) დაფიქსირებულ ყველა კურსდამთავრებულზე.

**აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს**

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 32**

**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:**

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 17 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №2) გადაწყვეტილებით დღის განყოფილების სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულ ლია ზედგინიძეს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სახელმწიფო სამსახურის ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“** მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სახელმწიფო სამსახურის ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“.**
2. აღნიშნული პირობა გავრცელდეს ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთვრებულზე *(იხ. მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №2, 17.06.2002)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

**მოისმინეს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის მარინა ჩავლეიშვილის** ინფორმაცია თსუ კურსდამთავრებულებისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

ა) მიენიჭოს **ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი** 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

*დიპლომი წარჩინებით:*

1. მარკოზაშვილი მაკა 01011097149

*დიპლომი ჩვეულებრივი:*

1. მთიულიშვილი დავით 01001086614

ბ) მიენიჭოს **ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის შემდეგ კურსდმთავრებულს:

*დიპლომი ჩვეულებრივი:*

1. თაზაგარი ავთანდილ 01001044732

**აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს**

**ჩატარდა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23**

**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:**

ა) მიენიჭოს **ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი** 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

*დიპლომი წარჩინებით:*

2. მარკოზაშვილი მაკა 01011097149

*დიპლომი ჩვეულებრივი:*

1. მთიულიშვილი დავით 01001086614

ზ) მიენიჭოს **ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის შემდეგ კურსდმთავრებულს:

*დიპლომი ჩვეულებრივი:*

2. თაბაგარი ავთანდილ 01001044732

**მოისმინეს: ეკონომიკის** სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ნესტან გაფრინდაშვილის** სადისერტაციო თემის ცვლილება.

*/დეკანის მოადგილე მ. ლობჟანიძე/*

**,,გარემოსდაცვითი ზეგავლენის ეკონომიკური ღირებულების შეფასების გამოწვევები საქართველოში“** (საზოგადოებრივი კეთილდღეობის ასპექტით) ნაცვლად, სადისერტაციო თემის სახელწოდება ჩამოყალიბდეს: **„გარემოსდაცვითი შედეგების გავლენა საზოგადოების კეთილდღეობაზე საქართველოში“.**

**აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს**

**ჩატარდა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

**დაადგინეს:** დამტკიცდეს სადისერტაციო თემის წარმოდგენილი ცვლილება.

**მოისმინეს:** დოქტორანტ **ნათია ლაკიას** სადისერტაციო თემის ცვლილება

*/დეკანის მოადგილე მ. ლობჟანიძე/*

დოქტორანტ **ნათია ლაკიას** ***,,კაპიტალის ბაზრის გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში"*** ნაცვლად, დამტკიცდეს ***,,მწვანე ბანკინგის გავლენა საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე"***

**აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს**

**ჩატარდა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23**

**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს სადისერტაციო თემის წარმოდგენილი ცვლილება.

**მოისმინეს: არჩილ ჩუბინიძის** სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი

*/დეკანის მოადგილე მ. ლობჟანიძე/*

სადისერტაციო თემა - **„ხელოვნური ინტელექტის გავლენა საცალო ბიზნესის მართვაზე საქართველოში".**

მეცნიერ-ხელმძღვანელი: **პროფესორი გიორგი ღაღანიძე**

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს**

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 32**

**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი სადისერტაციო თემა და მეცნიერ ხელმძღვანელი.**

**მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მანანა ლობჟანიძის განცხადება, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ცვლილებების შესახებ:

ცვლილებები შეეხო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის კათედრებზე არსებული სავალდებულო დატვირთვის განაწილების წესს.

1.აკადემიური პერსონალისათვის ძირითადი და დამატებითი სააუდიტორიო საათების საერთო რაოდენობა კვირაში, ასიმეტრიული დატვირთვის ჩათვლით რეგულირდება

შესაბამისი კათედრის ხელმძღვანელის მიერ, კათედრის პრიორიტეტებისა და გონივრული დაშვებიდან კვირეული დატვირთვის შესაბამისად.

2.მოწვეული პერსონალისათვის კვირეული დატვირთვის მაქსიმალური მოცულობა განისაზღვრა არ უმეტეს 18 აკადემიურ საათისა.

**აზრი გამოთქვეს:** პროფესორმა ე. ხარაიშვილმა, პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. გ. ღაღანიძემ, ასოც. პროფ. ლ. ღუდუშაურმა

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე** - 32

**წინააღმდეგი** - 0

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში წარმოდგენილი ცვლილება.

**მიმდინარე საკითხები**

**მოისმინეს:** სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის, ასოცირებული პროფესორის მერაბ ხოხობაიას ინფორმაცია სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად კონკურსის პირობებისა და ჩატარების წესში ცვლილების შესახებ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად კონკურსის პირობები და ჩატარების წესში შევიდა ცვლილება, კერძოდ, 2 მუხლის 9 პუნქტში დაემატა ჩანაწერი: ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების და განვითარების სამსახურთან შეთანხმებით პროექტის ფარგლებში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი უკვე დაიბეჭდა ან მიღებულია დასაბეჭდად იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer- reviewed ჟურნალში;
ან რეფერირებად/რეცენზირებად (რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორ ით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით) ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში (რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის, EBSCO-ს, ERIH PLUS-ის და Web of Science (WoS)-ის ბაზაში), ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში (რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის, EBSCO-ს, ERIH PLUS-ის და Web of Science (WoS)ის ბაზაში), ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე. წ.

Proceedings), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის, EBSCO-ს, ERIH PLUS-ის და Web of Science (WoS)-ის ბაზაში).

**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის**

**საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი** **გ. ღაღანიძე**

**მდივანი, ასოცირებული პროფესორი** **გ. ერქომაიშვილი**